# ერი

№ 5
წელიწადი მეორე
1914

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:
წლიურად . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით . . . . . . 4 მანეთი
თვიურად . . . . . . 4 აბაზი
ცალკე ნუმრის ერთი შაური.
წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილად გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილად. საზღვარგარეთ წლიურად 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურად 6 აბაზი.

ოთხშაბათი, 8 იანვარი.
მისამართი: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“
Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



ეროვნული ბიბლიოთეკა



„რადიუმი“
ორშაბათი, 6 იანვრიდან დიდი პროგრამმა.
I.
პ ა ტ ე-ჟ უ რ ნ ა ლ ი.

II.
გულით დადუმდი
დრ. 2 მოქმ.

III.
ერთმა იგემა
მეორემ ჯიბეს ხელი გაიკრა

ხუთშაბათიდან აჩვენებენ საუცხოვო ფერადებიან სურათს
ღმერთების სიყვარული
პარიზის ოპერის მაცეკვარი ნაპერკოვსკას ქალის მონაწილეობით.

დრაფი
ზიბერი
ტრიკო
მაუდი.

პავეზე დამყარებული ამხანაგობა
ს. მ. კირაკოზოვი
და ზ. გ. ოგანოვი

ბუმაზეი
ფლანელი
ვიგონი
შოტლანდკა.

მიღებულია დიდძალი
საზამთრო
საქონელი

კოტიკი
პლიუში
ველვეტი.

შაბათობით იყიდება
იაფათ
ნაჭრები.

ველვეტი
გენუია
იდეალი
ფლორა.


## ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

# „ე რ ი“

### ხელის მოწერა მიიღება 1914 წლისთვის

გაზეთში ახლა მონაწილეობას მიიღებენ ჩვენში ცნობილი პუბლიცისტები, ბელეტრისტები და კრიტიკოსები.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლით . . . . | 7 მანეთი. |
| ნახევარი წლით . . . . | 4 მანეთი. |
| ერთი თვით . . . . | 4 აბაზი. |
| და ცალკე ნუმრის . . . | 1 შაური. |

გაზეთის წლიური დასაყვეთი ფასის გადახდა ნაწალ-ნაწილადაც შეიძლება ამ სახით: ხელის მოწერის დროს—სამი მანეთი, პირველ მაისს—ორი მანეთი და პირველ ეკენისთვესაც—ორი მანეთი. საზღვარგარეთ გაზეთი წლიურად ღირს 14 მ., ½ წ.—8 მ., თვიურად 6 აბაზი.

სოფლის მასწავლებლებსა და სოფლის უფასო წიგნსაცავ-სამკითხველოებს გაზეთი ეთმობათ წლიურად 5 მ., ნახევარ წლით 3 მანეთად და თვიურად 3 აბაზად. მისამართი რედაქციისა და კანტორისა: Кутаисъ, редакція газ. „ЕРИ“ ამ მისამართით უნდა გამოიგზავნოს დასაკვეთი ფულიც და სხვ. ივანოვის ქუჩა.

---

შაბათს, თერთმეტ იანვარს ვაკისუბნის წმიდა გიორგის ეკლესიაში გადახდილ იქნება წლის წირვა და პანაშვიდი დაუვიწყარი

**მელიტონ ივანეს ძის ჩიქოვანის**

სულის მოსახსენებლად. რასაც აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გაუბედურებული მწუხარებასა შინა მყოფი ქვრივი გულჩინა მდივნის ასული ჩიქოვანისა.

---

## ქ უ თ ა ი ს ი
## პირველი კერძო საავადმყოფო სამკურნალო

სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით თ. ა. რედიგითის სახლი თეთრ ხიდთან.**

**ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:**

**დ ი ლ ი თ.**

| | |
|---|---|
| გ. ა. აშიანი—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. . | 1—2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშვის . . . . . | 10—12 |
| ა. ა. რედიგითი—დოსტაქარი, ქალთა, საბებიო . . . | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ვათაშინგი, ვენერ. . . . . | 12—2 |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებ., ქალთა და შინაგ. . . . . | 12½, 2 |

**ს ა ღ ა მ ო თ.**

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის . . . . . . | 4½—5½ |
| გ. ა. ჭოლოშვილი—საბებიო, ქალთა და შინაგ. . . . | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—სანიტარული კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლად. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურად. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით. საწოლები 3 მანეთიდან და ამაზე მეტად. ექიმთა მუდმივი მორიგობა.

ტელეფონი № 53

**სამკურნალოს დირექტორი—გ. ა. ჭოლოშვილი.** წ.

---

18 დეკემბრიდან

# დაიწყო ხელის მოწერა

**ია ეკალაძის (ი. ცინცაძის) მოთხრობათა მეორე ტომის გამოსაცემად**

წიგნი შეიცავს 400—500 გვერდს დართული ექმნება ავტორის სურათი, ფაქსიმილე და კრიტიკული განხილვა.

წიგნი გამოიცემა ავტორის ხელმძღვანელობით სუფთად და ლამაზად.

ხელის მოწერა მიიღება ბბ-ნ თ. მთავრიშვილის, გ. ოცხელის, „პროვინციის“ წიგნის მაღაზიებში და კერძო აგენტებთან.

**ფასი ხელის მომწერთათვის ერთი მანეთი.**

მიწერ-მოწერა მხოლოდ ავტორთან, შემდეგის მისამართით; ქუთაისი, კათოლიკეთა ქუჩა, სახლი ხოჯევანოვისა.

გამომცემელი აპ. ცინცაძე.

---

1913 წლის 20 ნოემბრიდან

**ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ გახსნა საკუთარი**

# ახალი სტამბა
## —ქუთაისში—

სტამბა საუკეთესოთ მოწყობილი და იღებს ყოველგვარ სასტამბო საქმეებს ქალაქსა და პროვინციებიდან:—ქართულ, რუსულ და სხ. ენებზე ზომიერ ფასებში.

---

**1914 წლის 2 იანვრიდან**

ქუთაისში, კირაკოზოვისა და ოგანოვის სახლში, ბულვრის პირდაპირ გაიხსნა

**კანცელარია**

**ნოტარიუსის ვ. პ. კოკოჩაშვილისა.**

**2 января 1914 года**

въ Кутаисѣ на Гимназической ул. въ д. Киракозова и Оганова открыта

**КОНТОРА**

**НОТАРІУСА В. П. КОКОЧЕВА.**

---

## ქ. ქუთაისში

ვაჭრობა-მრეწველობის სამინისტროს უწყებაში მყოფი

# საბუღალტერო კურსები
## გ. გ. გიგინეიშვილისა

15 იანვრიდან იხსნება მეორე-პარალელური განყოფილება. კურსებზე მსმენელები მიიღება ოთხი კლასის მოწმობით, ანუ შესაფერ გამოცდის შემდეგ რუსულსა და არითმეტიკაში. კურსი ათ თვიანია. სწავლის ფული ასი მანეთი. თხოვნები მიიღება ყოველდღე კურსების კანცელარიაში.

---

## ქ უ თ ა ი ს ი.
## თ. მთავრიშვილის და ამხ.

**წიგნისა და საკანცელარიო ნივთების მაღაზიაში**

იყიდება ყოველგვარი სახელმძღვანელო ქართულსა და რუსულ ენაზე შედგენილი. მაღაზიას მუდმივ მოსდის ახალ-ახალი რუსული და ქართული წიგნები, როგორც რუსეთის ცნობილი ფირმებიდან, ისე საქართველოს ყოველი ქალაქიდან—დაბეჭდვისთანავე.

პროვინციის მოთხოვნილებას მაღაზია დაუყონებლივ აკმაყოფილებს.

მაღაზია ღებულობს ხელის მოწერას ყველა რუსულსა და ქართულ ჟურნალ-გაზეთზე.

---

**ა ქ ი მ ი ი. ჩარექიშვილი** იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავადმყოფოშია.

მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში. თ.

---

**ა ქ ი მ ი ქ. ტყეშელაშვილი.** ღებულობს ავათმყოფებს შინაგანი, (ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, ფოთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.

---

**ა ქ ი მ ი დ. ჯაფარიძე** იღებს შინაგანის, ბავშვების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თბილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

---

**ი ყ ი დ ე ბ ა** კახიანაურში რკინის გზის გადასავალთან ორსართულიანი ქვიტკირის სახლი, დაგირავებული ბანკში, ღვინის სარდაფით, სარაიათი და ბაღით, ზომით 400 კვ. საჟ. პირობების გაგება შეიძლება ტ. მ. კნუნთან, თფილისის ქუჩა, ფირალოვის სახლი.

---

## საქმე და არა სიტყვა.

„კავკასიის კულტურულ ცენტრში, თფილისში უნდა გაიხსნას უნივერსიტეტი“—დაადგინა სრულიად რუსეთის სახალხო განათლების მოღვაწეთა პირველმა კრებამ.

„ქართულ შკოლეში სწავლება დედა ენაზე უნდა სწარმოებდეს და იგი მინდობილი უნდა ჰქონდეს თვითმართველობებს“, ამბობს იმავე კრებაზე გამოტანილი რეზოლიუცია. როგორც ხედავთ სურვილი მეტად სიმპატიურია; თუ საქმე სახალხო მასწავლებლის სურვილ-დადგენილებამდი მივიდა, ოღონდაც, რომ დაჩაგვრას ვერავინ გაგვიბედავს და თავისუფლადაც შევიძლებთ ამოვისუნთქოთ, მაგრამ ვინ გაუწევს რაიმე ანგარიშს სახალხო მასწავლებელთა სურვილებს, ვინ იღებს ყურად მათ ღაღადს?

„სიეზდებს“ რომ რამე მოეცათ, ახლა ხომ „გუჩკოვ-სალაზკინთა კონსტიტუცია მაინც გვექნებოდა? დიახაც რომ სახალხო მასწავლებელი ჩაგრული ხალხისთვის არავითარ კეთილ სურვილებს არ დაიშურებს, მაგრამ ზოგი კასის კითხეთ, არის თუ არა იგი ისეთ გუნებაზე, რომ ასეთი რეზოლიუციებით ასაზრდოოს თავისი „კურსი“? მისი პოლიტიკა ხომ მუდამ იმას გაყვედრის:—პეტრე რათა ხარ, ონუფრით გადაიქეცო! ხო და ამ დროს უნიადაგოა მიუწდომელ საგნებზე მსჯელობა. შეიძლება, ბევრმა არც კი იცოდეს, რომ თანამედროვე ქართველებს ქართული სახელის ტარებაც კი აკრძალული აქვთ? თუმცა ყოველივე ეს ანეკდოტს გვაგონებს, მაგრამ ვინ არ უწყის, რომ ჩვენი ცხოვრება კაი ხანია ამგვარი ანეკდოტებისაგან შესდგება ჭკუამახვილ მოხელეთა მეოხებით?

რომელი ანეკტოდი აჯობებს სიმახვილით პოლიტეხნიკუმის შესახებ გამოტანილ რეზოლიუციას? რომელი ანეკტოდი აჯობებს კრუპსკაია-გასპარიანცების ოინებს?

და განა ყოველგვარ ანეკდოტზე უფრო მოსწრებული არაა საეკლესიო უწყების ლტოლვა სახელის შეცვლით ქართველის გადაგვარებისადმი მიმართული? ლომს „ბორბოსიც“ რომ უწოდოთ, განა მისი ბრჭყალები ამით დაჩლუნგდება, ან თვალები ელვარებას დაკარგვენ! მაგრამ „მორევერანსე“ მოხელეთა სახელმწიფოებრივი შორსმჭვრეტელობა როდის წასულა ამგვარ საანეკდოტო შემოქმედებაზე შორს, რომ ახლა წავიდეს?

დღეს სახალხო მასწავლებელთა კრებამ გამოიტანა რეზოლიუცია, რომ ქართულ შკოლებში სწავლება ქართულ ენაზე სწარმოებდესო, მაგრამ ხვალ კასო ცირკულიარულ მოწერილობას დაუგზავნის ჩვენი შკოლების მართველთ, რომ კარგათ დაუკვირდით მოწაფეთა მეტრიკულ ამოწერილობას, ვახუშტი არავის ერქვასო და თუ ვინმე უბედურ დღეს დაბადებული აღმოჩნდა, რომელიც ქართულ სახელს ატარებს, მას რუსულის სწავლებისაგანაც კი გაათავისუფლებენ. ასე იყო ეს აქამდი, ასეა ახლა და ასევე იქნება დრომდი. მაღალ მოხელეთა აზრი და შეხედულება ყოველთვის ეწინააღმდეგებოდა დემოკრატიისა და მის საუკეთესო წარმომადგენელთა აზრსა და მიმართულებას, ყოველთვის პირადი რეჟიმი იყო გამეფებული შკოლების საქმეში და მას ვერ მოსპობს ვერავითარი „სიეზდის“ რეზოლიუცია, მით უმეტეს სახალხო მასწავლებლების, რომელთაც მუდამ ზევიდან დაყურებდენ და დაყურებენ ძლიერნი ამა ქვეყნისანი.

ღმერთმა სიკეთე ნუ მოუშალოს სახალხო მასწავლებელთა კრებას კეთილი სურვილისათვის, მაგრამ რამდენი კეთილი სურვილი დარჩენილა სურვილად და და მიზნისთვის ვერ მიუღწევია?

არა თუ სახალხო მასწავლებელთა სურვილები, მათზე უფრო „ძლიერთა“ დაპირებები სმენია ქართველ ერს, მაგრამ მას მაინც სიმწარისა და ტანჯვის მეტი არავისგან არაფერი მიუღია. სახალხო შკოლა დაჩაგრული და შევიწროებულია თვით რუსეთის შიდა გუბერნიებში, და რა დღე დაადგება მას ჩვენში, ჩვენს ქვეყანაში, რომლის შევიწროებისაგანაც ათასგვარ სიმდიდრეს გაპოულობენ ჩვენი სვე-ბედის გადამწყვეტნი.

ამ ჟამათ ბედი არ სწყალობს შეაგულ რუსეთს და ჩვენგან ხომ დიდი ხანია

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამ ბედმა ხელი აილო და ზურგი შემოაქცია. ანგარიშს არვინ გვიწევს და ...ნა რეზოლიუციები აიძულებს ვისმე ...ოთხოვნა ჩვენი ყურად იღოს? ბედს ჩვენვე შევქმნით, ჩვენვე დავიმორჩილებთ მას, ხოლო არა მშრალი რეზოლიუციებით, არამედ საქმით, შრომით, სამშობლო ქვეყნისადმი სიყვარულით და ამ სიყვარულის განსახორციელებლათ ენერგიის დახარჯვით. „აწმყო არა გვწყალობს" მაგრამ არც მომავალი იქნება ჩვენი, თუ მცონარეობას თავი არ ვანებეთ, ჭეშმარიტებას პირდაპირ თვალებში არ ჩავხედეთ და დროთა სვლას მომზადებული არ გავყევით. საქმე და არა სიტყვა, აი, რა შექმნის ჩვენს მომავალს.

**იმერი.**

# ახალი ამბავი.

ამასწინათ ადმინისტრატიული წესით დაპატიმრებულთაგან გაათავისუფლეს ნაფიცი ვექილის თანაშემწე გრ. გიორგაძე, ბ. მახვილაძე, ი. ბახტაძე და მ. ბერიშვილი.

✦ ქუთაისის ყასბები სთხოვენ ქალაქის გამგეობას საქონლის გაძვირების გამო, ხარისა და ძროხის ხორცე ნიხრი სამშაურამდი აუწიოს და ცხვრის ხორცზე აბაზამდი.

✦ პეტერბურგის სასამართლო პალატის ნაფიც ვექილთა საბჭოს გადაუწყვეტია ათასი მანეთი გადასდვას დასავლეთ საქართველოში დამშეულთა სასარგებლოთ. ეს ფული მესამე სათათბიროს დეპუტ. ეგვ. გეგეჭკორისთვის გადმოუციათ.

✦ მეორე სათათბიროს დეპუტ. მახარაძემ კატორგის სასჯელი მოიხადა და ამ ჟამათ ენისეის გუბერნიაში იმყოფება, სადაც საცხოვრებელი ბინა აქვს გადაწყვეტილი. სოც.-დემოკრატიულ ფრაქციაში მომხდარი უთანხმოების გამო მახარაძე პროტესტს აცხადებს.

✦ ამ ჟამათ ქუთაისში იმყოფება ჩვენი მწერალი შიო მღვიმელი (ქუჩუკაშვილი).

✦ ბატ. სპერანსკიმ გუშინწინ თავის ლექცია—„თანამედროვე ფაუსტი და მეფისტოფელები" ფრიად საგულისხმოთ წაიკითხა. სამწუხაროთ საზოგადოება ნაკლებათ დაესწრო ამ საყურადღებო ლექციას.

✦ ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთმა" მიიღო წასული წლის „ნაკადულის" უკანასკნელი № 12 და 24 თავის პრემია „ბიძია თომას ქოხი"-ით ხელისმომწერლებისთვის. კანტორა კვლავ განაგრძობს ხელისმოწერის მიღებას ამ ჟურნალზე.

კანტორამ მიიღო მღვ. კელენჯერიძის წიგნი: „ეპ. გაბრიელი და მისი დრო" ხელისმომწერლებისთვის და გასაყიდათაც.

მანვე მიიღო ეგ. ნინოშვილის ახალი დიდი სურათი 10 შაურათ ღირებული გამოცემა „ცოდნისა".

✦ ბაზრის ზედამხედველმა გელოვანმა ოქმი შეუდგინა შემდეგ პირებს: მერძევეს ტუტუჟიანცს უსუფთაობისთვის და ყასბებს მიხეილ ჯავახაძეს და ალექსანდრე გიორგაძეს ხორცის ნიხრ ზევით გაყიდვისთვის.

✦ 15 იანვარს გაიმართება ქალაქის თეატრში პეტერბურგის თეატრების ცნობილი მომღერალის ვავიჩის კონცერტი.

✦ დ. ჩარკვიანის ბენეფისი მეტათ უფერული იყო. გარდა თვით მობენეფისესი, არც ერთმა არც როლი იცოდა არც თამაში უვარგოდათ.

✦ 14 იანვარს ქ. სოხუმში ტრადიციული ქართული საღამო გაიმართება. ამ საღამოზე, სხვათაშორის, მოწვეულია მ. კავსაძის მომღერალთა გუნდი.

**შეცთომის გასწორება:**

„ერის" უკანასკნელ ნუმერში ჯ. ჯორჯიკიას „კოსმოში" შემდეგი შეცდომებია. დაბეჭდილია—„აღელვებული ბუნება"; უნდა იყოს აუღელვებელი ბუნება; ბოლოში მიუგო გრძელმა ცხოვრებას—მაგიერ დაბეჭდილია მიუგო ბრძენმა ბუნებამ.

ჩვენი გაზეთის 6 იანვრის ნუმრის მეთაურში დაბეჭდილია ბათუმი და ქართლი უნდა იყოს გახეთი და ქართლი.

იმავე ნუმერში მოთავსებული იმერის წერილში შემდეგი შეცთომა:—დაბეჭდილია:—ცხადია, ამგვარი რამ ფრიად შეზღუდული იქნება და კრების თვალთმაქცებისა და გიმნაზიებისთვის ან რაზე უნდა დაილაპარაკოს ბედკრული სოფლის ბედკრულმა მასწავლებლებმა თუ არა თავის ბედსა და ცხოვრებაზე, უნდა იყოს:—ცხადია ამგვარი რამ ფრიად შეზღუდავს მასწავლებელთა კრებას. ან რაზე უნდა დაილაპარაკოს ბედკრული სოფლის ბედკრულმა მასწავლებელმა თუ არ თავის ბედსა და ცხოვრებაზე და სხ.

# ღია ბარათი.

ბატ. ბარნაბა ჰაჰავას.

ბატონო ბარნაბ! თუ ინებებთ მოგონებას, თქვენ შავი ქვის ადგილობრივი მრეწველებისაგან დიდი დავალებული ბძანდებით მით რომ, როდესაც განსვენებულს მამათქვენს ამბაკოს შემოელია ყოველგვარი სახსარი თქვენს ასაზდელათ, იმ დროს, შავიქვის წვრილი მრეწველების მეოხებით, შავიქვის მრეწველთა საბჭომ დაგინიშნათ თქვენ სტიპენდიათ წელიწადში 800 მანეთი და ამ სტიპენდიის ღებულობდით ექვსი თუ შვიდი წლის განმავლობაში.

დაბრუნდით საზღვარგარეთიდან 1906 წელს, როდესაც ჩვენში მოძრაობა და მასთან რეაქციაც იყო. თქვენ ისარგებლეთ იმ დროით ჩაუდექით სათავეში ადგილობრივ აგრეწოდებულ „წვრილ მრეწველებს" და გაუმკლავდით ქვის მყიდველებს (ექსპორტიერებს) რომელთა რიცხვს ჩვენდა საუბედუროთ, ახლა თქვენც ეკუთვნით. მასთან შექმენით თქვენ მრეწველების პროფესიონალური კავშირი—„შავიქვის მწარმოებელთა ასოციაციის ბიურო" და ამ დაწესებულებას მოექეცით სათავეში დირექტორის წოდებით.

იმ ხანებში იმნაირათ დააყენეთ საქმე სხვადასხვა ხრიკების წყალობით, რომ არც ქვა იყიდებოდა და არც ვაგონები ეძლეოდა ქვის დასატვირთველად უთქვენოდ. თქვენ კი ამით პირადათ ისარგებლეთ და „თქვენი შრომისთვის" მყიდველებისგან და გამყიდველებისგან ღებულობდით „კურტაჟს". ამნაირათ სულ მოკლე ხანში ასეთი „პატიოსანი მოქმედებით" შეიძინეთ რამდენიმე ათასი მანეთი. (თუ დაეჯერება ბოროტ ენებს—ორცმოცი ათასი) და ამ საშვალებით გაემგზავრეთ საზღვარგარეთ, სადაც დააარსეთ ახლანდელი თქვენი საზოგადოება—„Кавказское рудичное Товарищество".

ამ სახით, არარაისგან ჩვენი მრეწველების მეოხებით თქვენ მოულოდნელათ შეიქენით ამხანაგათ და წარმომადგენლათ ერთერთი უდიდესი ფირმისა, ესე იგი ჩაეწერეთ ექსპორტერების წრეში, იმ ექსპორტიორებისა, რომელთაც თქვენ 1906--1007 წლებში ემკლავებოდით და ომი გამოუცხადეთ, ვითომდა ჩვენი მრეწველების ინტერესების დასაცველათ.

თურმე ეს ყოველივე თქვენის მხრით თვალთმაქცობა ყოფილა და თქვენი პირადი ანგარიშებით გამოწვეული და არა წვრილი მრეწველების ინტერესების დასაცველათ, იმ მრეწველებისა, რომელთაც ახლა თქვენ აშკარათ გაუწითლებლად ფეხქვეშ სთელავთ.

ამაში დავრწმუნდით ჩვენ განსაკუთრებით XVI მრეწველთა კრებაზე წარსულ ქრისტეშობისთვეში. ამ კრებაზე თქვენ აშკარათ გამოილაშქრეთ „თქვენი ამზდელი" წვრილი მრეწველების წინააღმდეგ მაშინ, როდესაც საზღვარგარეთელი ექსპორტერები სდუმდენ და არავითარ შეუფერებელ მოქმედებას არ კადრულობდენ ხსენებულ მრეწველთა წინააღმდეგ.—თქვენ მარტო პირიდან დორბლის ყრით იბძოდით და ყოველგვარ საშვალებას ხმარობდით წვრილი მრეწველების კანონიერი მოთხოვნილებების წინააღმდეგ. იქამდი მიაწია თქვენმა სითამამემ და თავდავიწყებამ, რომ თქვენ ხსენებულ კრებაზე წინააღმდეგი გახდით იმ საშვალებათა, რითაც თქვენ 1906—1907 წლებში ისარგებლეთ, წინააღმდეგი გახდით ჭიათურის პირადათ გადაკეთებისა და ამ პირადში თვითმართველობის შემოღებისა;

ასეთმა თქვენმა საქციელმა გამომიწვია ამ წერილით შეგეკითხოთ: 1. რა მოსაზრებით და რა პირით ეწინააღმდეგებით თქვენ თქვენი ამზდელი მრეწველების ინტერესებს? 2, რა საფუძველით ხელმძღვანელობთ თქვენ, როდესაც ჭიათურის პირადათ გარდაქმნას ეწინააღმდეგებით? 3. გახსოვთ თუ არა ის, რომ წასულ ზაფხულზე, როდესაც მუშების გაფიცვის გამო მოლაპარაკება გქონდათ, ბატ. გ. ფ. ზდანოვიჩის თანადასწრებით, გვირჩიეთ წვრილ მრეწველებს—შეკავშირებულვიყავით შავიქვის ადგილობრივ ფასების დაარსებისა დ დაცვის საქმეში და მასთან აგვითქვით, რომ, თუ ჩვენ ამას განვახორციელებდით თქვენ პირველი დისთანხმდებოდით მუშების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე და ქვის მიღებას დაიწყებდით ჩვენ მიერ დადგენილ ფასებით? და ეს თუ ასე იყო, რა მოსაზრებით გამოილაშქრეთ ხსენებულ მრეწველთა კრებაზე ჩვენი წინადადების წინააღმდეგ განსაკუთრებული კომისიის დაარსების თაობაზე, რომელ კომისიას, სხვათა შორის, უნდა მინიჭებოდა უფლება ფასების დადგენისა და დაცვისა? და 4. რა მიზეზია, რომ თქვენ აქამდი არ დააბრუნეთ ის სტიპენდია, რომელიც გაქვთ მიღებული საბჭოს კასიდან და რომლის ჯამი, რამდენათაც ვიცით, აღემატება ხუთი ათას მანეთს, რაკი თქვენ დღეს ექსპორტერიც ბძანდებით და ამის გარდა დიდძალ ჯამაგირსაც ღებულობთ? ჩვენ სარწმუნო წყაროდან გვაქვს ცნობა, რომ ამ სტიპენდიის დაბრუნების შესახებ თქვენ მოგმართათ ზდილობიანი წერილით ქართველთა შორის წერაკითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ჭიათურის განყოფილების მართველობამ, მაგრამ პასუხის მიცემაც არ ინებეთ? თუ ახლა არ შეგიძლიათ ამ ვალის გასტუმრება, მაშ როდესღა შეიძლებთ მის გადახდას? თუ იმ შემთხვევას უცდით, როდესაც თქვენ აქაურ ქონებას სხვას ვისმე გადასცემთ (ამის შესახებ უკვე გავრცელდა საზოგადოებაში ხმა) და შეუძლებელ მოვალეთ შეიქნებით? ეს თუ ასეა ჩვენს საზოგადოებას რა საშვალება დარჩება, რომ თქვენგან გაინაღდოს ზემოაღნიშნული ვალი, რომლის საშველებით შესაძლოა რამდენიმე ახალგაზდა აიზარდოს?

გთხოვთ, ყველა ჩამოთვლილ შეკითხვაზე პასუხი გვიბოძოთ, რათა ვიცოდეთ, ვინ, ან რა ფიზონომიის პატრონი ბძანდებით თქვენ.

**ალექსანდრე გამრეკელი.**

1 იანვარი 1914 წ.
დ. ჭიათურა.

# დღიური

— ჩინეთში ხალხისადმი მოწოდებაზე ხელის მოწერის გამო დეპუტატებს აპატიმრებენ.

— ბულგარეთში დეპუტატთა პალატა დაითხოვეს.

— ალბანეთის აჯანყების მეთაურს ბექირ-ბეის სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტეს.

— იაპონიაში დიდი მიწის ძვრა იყო. დაიღუპა 100 ათასი კაცი.

— რუმინიის კაბინეტი სამსახურიდან გადადგა.

— უსკიუბში რუსეთის საელჩო დაიხურა.

— ბეილისი პალესტინას წავიდა.

— მოსკოვში ჟურნალისტმა ლაპატინმა თავი მოიკლა.

— ცნობაა—ახალგაზდა ოსმალთა კომიტეტი სომხების დასარბევათ ემზადებაო.

# შარლ ბოდლერი.

## ლექსები პროზით

ა.

**ძაღლი და სურნელება.**

მოდი, მოდი, ჩემო კარგო დაყნოსე სურნელება—საუკეთესო მაღაზიაში ვიყიდე.

ძაღლი მიახლოვდება კუდის ნაზი ქნევით—ეს არის ჩემის აზრით, ამ დაჩაგრულ არსებათა სიცილი და ღიმილი—მიახლოვდება და ორთქლიან, სველ ცხვირს ადებს თოვლიან შუშას; მსწრაფლ იხევს უკან, ყეფს და წყრომით შემომყურებს მე, რომელმაც ასეთი უსიამოვნება ვაგრძნობიე.

საბრალო ძაღლი! ბინძური და მყრალი რამე რომ მომეცა, შენ არამც თუ დაყნოსნავდი, არამედ დიდის სიხარულით და ალტაცებით გადაყლაპავდი. შენ, ჩე-

# დიდი დღესასწაული.

დღეს მთელი შეგნებული რუსეთი ნახევარი საუკუნის არსებობის დღესასწაულობს იმ დაწესებულებისას, რომელიც საზოგადოებრივი ინიციატივის და თვითმოქმედების ერთი უდიდესი ორგანოა. სამოციან წლების გამათავისუფლებელმა ეპოქამ მრავალ სხვა მნიშვნელოვან რეფორმასთან ერთად საერობო თვითმართველობაც მიანიჭა რუსის ხალხს. ეს საზოგადოებრივი ინსტიტუტიც, ზემოდან ნაბოძები, ქვემოდან ნაკარნახევი იყო. წინათ ხალხის მრავალნაირ ადგილობრივ საჭიროებას სახელმწიფო ბიუროკრატიის საშუალებით უძღვებოდა, როგორც ეს ჩვენშია ახლაც და რუსეთის იმპერიის ზოგ ალაგას. თუ როგორია ეს ბიუროკრატიული მართვა-გამგეობა ადგილობრივ საჭიროებათა დაკმაყოფილების სფეროში დღესდღეობითაც კი, როდესაც სახელმწიფო წესწყობილებამ ბევრი რამ განიცადა, როდესაც ცენტრალურ უფლების ორგანოების გვერდით გაჩნდა ახალი საკანონმდებლო ორგანოები სახალხო წარმომადგენლობისა, მართალია, დამახინჯებული ტიპისა, როდესაც საზოგადოებრივი თვითშეგნების ზრდამ ერთი მეტად დიდი, გიგანტური ნაბიჯი წარსდგა წინ,—თუ როგორია ეს მართვა-გამგეობა, ამას ყველა ხედავს, ამას ყოველი გრძნობს იქ, სადაც ერობა აკრძალული ხილია. სოფლის მკვიდრთა მრავალნაირი საჭიროებანი უერობო რაიონებში ახლაც ან სრულიად უყურადღებოთ, დაუკმაყოფილებელი რჩება, ან და, უკეთეს შემთხვევაში, მხოლოდ სანახევროთ კმაყოფილდება. კლასიკური მაგალითია ჩვენი ქვეყანა. ვინ არ იცის, რა ყოფაშია ჩვენი სოფელი უგზოთ, უექიმოთ, უწამლოთ! ვინ არ იცის, რა უმწეოა გადამდებ სენთან ბრძოლაში სოფელი! მთელი სოფლის საზოგადოებანი და, ასე გასინჯეთ, მთელი მაზრაც კი ზოგჯერ უექიმოთ რჩება, მკითხავ-მარჩიელთა და ათასნაირ გაიძვერათა ანაბარათ. სოფელი ლოვახშეთა ხელში, სოფელი უსუფთაობაში ჩამხრჩალი, სოფელი კულტურულ დაწესებულებებს მოკლებული, სოფელი ნივთიერად გაძვალტყავებული,—აი სურათი ჩვენი სოფლისა ბიუროკრატიის აპეკის ქვეშ! საკმარისია გავითვალისწინოთ სოფლის მდგომარეობა ისეთ დროს, როგორიც არის მოუსავლობა. აი, თუნდ დღეს, ქუთაისის გუბერნიის დიდ ნაწილს კარზე შიმშილი მოსდგომია და ლამის წელგატეხილი მშრომელი ხალხი სულ ერთიანად დასცეს. აბა, რას შვრება ის ბიუროკრატია, რომელსაც ჩვენი ერობის მაგიერობა უდვია თავს? რა ზომებს ხმარობს, რათა ოდნავ მაინც შეუმსუბუქოს ტვირთმძიმეს მისი გატიალებული, უილაჯო არსებობა? თვით სრულიად არასფერს და, როგორც ყოველთვის სჩვევია ბიუროკრატიულ მანქანას, პირიქით, სხვასაც უშლის ხელს დახმარება აღმოუჩინონ დაშეულთ: შემკითხველებს თუ უფროსებს ქაღალდს ქაღალდზე უგზავნიან აქედან, რომ აქ საშიში არაფერიაო, მოუსავლობა არც იმ ზომისაა, რომ გლეხკაცობამ საკუთარი საშუალებით ვერ გაიტანოს თავი მეორე მოსავლამდიო.. ასე მზრუნველობენ ყველგან და ყოველ საქმეში!

თუ დღეს, გაცილებით უკეთეს პირობებში, ასეთია, ჩვენში თუ სხვაგან, ერობის სუროგატი—ბიუროკრატია,—ადვილად წარმოსადგენია, რას განიცდიდა სოფელი ამ ორმოცდაათი წლის წინათ, როდესაც აბსოლიუტიზმი თავის დიდების აპოგეიაში იყო, როდესაც საზოგადოებრივი თვითშეგნება ერთობ სუსტი იყო, როდესაც ხალხის ხმას და მის ღაღადისს ანგარიშს მაინდამაინც არავინ უწევდა.

მაგრამ, რა თქმა უნდა, დრომ თავისი მოიტანა. ხანგძლივმა ტკივილებმა თავი იჩინა, ხალხი შეინძრ-შემოინძრა. საზოგადოება ახმაურდა. პრესაში ახალი კილო შეიჭრა. თავისუფლების სიომ დაბერა და აი მთავრობამაც, მოსალოდნელ კატასტროფის ასაცილებლათ, დასთმო: ნაწილი ცენტრალურ მთავრობის ფუნქციებისა თვით საზოგადოებას ჩაბარდა—დაწესდა საერობო თვითმართველობა. ამიერიდან საზოგადოება მთავრობის თანამშრომელი შეიქმნა. ამიერიდან თვით მკვიდრნი განაგებდენ ერთის გუბერნიის საზღვრებში მრავალ ადგილობრივ საქმეებს და მინიჭებულ კომპეტენციის ფარგლებში მათ სავალდებულო დადგენილებათა გამოცემის უფლებაც მიიღეს, რამდენათაც ეს დადგენილებანი საერთო კანონებს არ ეწინააღმდეგება. ამიერიდან ყოველ ადგილობრივ საჭიროებას, რომელიც მისვლა-მოსვლას, ხალხის ჯანმრთელობას, სანიტარიას, სწავლა-განათლებას, დამშეულთა გამოკვებას, აგრონომიულ დახმარებას, ღარიბ-ღატაკთა, ქვრივობოლთა მზრუნველობას ეხებოდა თვით მკვიდრნი, თვით პირდაპირ დაინტერესებულნი უძღვებოდენ ადგილობრივი საშუალებით, ამიერიდან ჩინოსანი პეტერბურგიდან არ ბრძანებლობდა ისეთ ყოველდღიურ ცხოვრების საკითხებზე ან საქმეებზე, რომელთაც იგი მხოლოდ მშრალი ქაღალდებით ეცნობოდა, იმ ქაღალდებით, რომელნიც ხშირად ერთობ დაშორებულია ამა იმ საქმის ნამდვილ ვითარებას. საზოგადოება სახელმწიფოს შინაური ცხოვრების მართვა-გამგეობაში აქტიური მონაწილეთ ხდება და ეს, რა თქმა უნდა, ერთი უდიდესი რეფორმათაგანი იყო, რომელნიც კი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში რუსის ხალხმა მოიხვეჭა. შემდეგ გლეხთა განთავისუფლებისა, ასეთი დიდებული საკანონმდებლო აქტი რუსეთის ახალმა ისტორიამ არ იცის. როდესაც ამ აქტზე ვლაპარაკობთ, ჩვენ არ გვავიწყდება ქალაქი, რომელმაც იმავე ხანებში, თუმცა და ცოტა უფრო გვიან, იგივე უფლება თვითმართველობისა, იმავე კომპეტენციით მიიღო, როგორც ერობამ სოფელში. ამ გვარად, ცენტრალურ მთავრობას გვერდით ამოუდგენ, მართალია, არა თანასწორის უფლებით, ახალი თვითმართველი ორგანოები—ერობა და ქალაქი. აქედან უწყება ახალი ხანა რუსეთის საზოგადოებრივი განვითარების ისტორიისა.

გარნა, როგორც მოსალოდნელი იყო, აბსოლიუტური მთავრობა შორს არ წასულა და ვერც წავიდოდა დათმობის გზაზე. ჯერ იყო და საერობო რეფორმას არა თუ განაპირა ქვეყნები, ბევრი სხვა კუთხეებიც გამოსთიშეს, შემდეგ, მალე ერობის უფლებრივ მხარეს, მის კომპეტენციას შეეხენ და შეეხენ იმ ზომამდი და იმ მხრივ რომ ამ თვითმართველობიდან დღეს ხელში მხოლოდ მისი აჩრდილი-ღა შეგვრჩა. როგორ შეეძლო ორს სხვადასხვა ტენდენციების მტარებელს, სხვადასხვა პრინციპებზე აგებულს სახელმწიფო ორგანოს ერთად მოთავსებულიყვნენ? ან ერთი უნდა გაჭყლეტილიყო ან მეორე. ძალთა განწყობილება ისეთი იყო, რომ ბიუროკრატია უნდა ძლევამოსილი გამოსულიყო. ასეც მოხდა—დამარცხდა საზოგადოებრივი ძალები ხანგძლივ ბრძოლაში და დღეს ამ დამარცხების სურათს ვხედავთ. საერობო დაწესებულებანი, შეზღუდულნი, უფლებააღდილნი, ადმინისტრატიულ აპეკის ქვეშ მყოფნი, რეაქციის სიმაგრეთ გარდაიქცა მეტ ნაწილათ, საზოგადოებრივ თვითმოქმედბის და თავისუფლების მტერთა ბუნაგათ. იგივე ბედი ეწვია ქალაქს. ასე გათავდა კარგად დაწყებული საქმე მხოლოდ იმიტომ, რომ სახელმწიფო უფლების მატარებელნი ვერ შეურიგდენ საზოგადოებრივ ელემენტთა გაძლიერებას, ვინაიდან კარგად უწყოდენ, რომ ეს ელემენტები მათ პოზიციებს ვერ დაიცავდენ. პირადი ქერქის შენარჩუნების ინსტიკტი საზოგადოებისადმი უნდობლობას უკარნახებდა ამათ. და აკი ამიტომ ისინი ცდას არ აკლებდენ და ყოველ მარჯვე თუ არა მარჯვე შემთხვევით სარგებლობდენ, რომ ეს უნდობლობა გამოეცხადებიათ.

ამ უნდობლობის მსხვერპლი თავიდანვე, როგორც ვსთქვით, განაპირა ქვეყნების მცხოვრებნი იყვნენ და მათ შორის ჩვენც. არც კარგი და არც ცუდი ხანა საერობო ცხოვრებისა საქართველოს არ განუცდია. ჩვენი სოფლის ბატონ-პატრონი წინათაც და ახლაც მარტოდ-მარტო პოლიცია და ადმინისტრაციაა. თუ რამდენია ადმინისტრაციის ხანგრძლივი მოღვაწეობა ერობის როლში, ამის სწორი და აშკარა მაჩვენებელი ხომ ჩვენი დღევანდელი სოფელია, სოფელი უშკოლო, უექიმო, უგზო! ამ მოღვაწეობის დასახასიათებლათ საკმარისია გავიხსენოთ ის ფაქტი, რომ თითქმის დღემდი საერობო თანხიდან მილიონებს არ შურავდენ დარაჯების შენახვაზე და იმავე დროს, აბა მიბრძანეთ, თუ რამდენი შკოლა გაუხსნიათ ამ თანხებით ან რა აგრონომიული დახმარება გაუწევიათ მცხოვრებთათვის? არც ერთი და არც მეორე,—გიპასუხებსთ ყოველი ჩვენი სოფლის ავ-კარგის მცოდნე.

ამ დიდ ნაკლს—ერობის უქონლობას—ჩვენი ხალხი დიდი ხანია გრძნობს. იგი ხედავს, რომ თავის გაჭირვებას თვით უნდა გაუძლვეს, თორემ სხვადასხვა მოხელეთა კანცელარიების მოიმედეთ დარჩენამას არას არგებს. საჭიროება მრავალნაირია ზოგი მეტად მწვავე, აუცილებელი, ხოლო ამაზე მზრუნავი არავინ. ქვეყანა ეკონომიურათ იღუპება და პატრონი არ-

# ო, არა! არა!

1.

და შენ გგონია, მიტომ ვხარხარებ,
მიტომ მილვივის ტუჩზე სიცილი,
რომ ძალით თავსა ვერ შევაყვარებ,
რომ უმიზეზოდ დამწამე ცილი?—
ო, არა არა!
აი, რა არი:
მე ის მახარებს, მე ის მაცინებს,
რომ ჩემი ლექსის არცერთი ბწკარი
შენს ტუჩზე აღარ ითინათინებს.

2.

და შენ გგონია, იმიტომ ვსტირი,
იმიტომ ვაპნევ ცრემლებსა ცხარეს,
რომ შენს მგოსანთან მოსპე კავშირი
და უცხოს წაჰყე, შორს, უცხო მხარეს?
ო, არა! არა!
მე ის მიკლავს გულს,
მე ის მაშფოთებს, მაწუხებს და მწვავს,
რომ ზაფხულივით მოწიფულ ქალწულს
შემოდგომივით თალხი ჩაგიცვავს.

ი. გრიშაშვილი.

ქ. ქუთაისი, 7 იანვარი.

---

მო მეგობარო, მაგონებ ჰრელ საზოგადოებას, რომელსაც თავის დღეში არ უნდა მიაწოდო დამათრომელი სურნელება. ასეთი რამ აშფოთებს და არისხებს ბრბოს. მლაშე გემოვნებას საგანგებოთ ამორჩეული სისაძაგლე უფრო აკმაყოფილებს.

ბ.

სარკე.

ოთახში შემოდის ვიღაც მახინჯი და სარკეში იყურება.

— რათ იცქირებით სარკეში, თუ საკუთარი სახის დანახვა უსიამოვნების მეტს არაფერს იწვევს თქვენში?

— მოწყალეო ხელმწიფევ!—მიპასუხებს მახინჯი:—1789 წლის უკვდავმა პრინციპებმა სუყველას მიანიჭა თანასწორი უფლება: მაშასადამე, მე, როგორც სხვას, სრული უფლება მაქვს ვიცქირო სარკეში; სიამოვნებას გამოიწვევს ჩემში თუ უსიამოვნებას—მომეცით ნება, მე ვიცოდე. ეს მე შემეხება და არა თქვენ.

კეთილგონიერების თვალსაზრისით, რასაკვირველია, მე მართალი ვიყავი; ხოლო კანონი კი მის მხარეს იყო.

Scurra.

## პასუხი ი. გოგიას.

**(„რა არის ლინგვისტური ახსნა?" და სხვა საკითხების შესახებაც).**

**(დასასრული იხილე „ერი" № 4).**

ბ-ნ ი. გოგიას ერთი რამე უმთავრესის ცოდნა აკლია, და ეს ფუჭად ხდის მთელს მის მსჯელობას „წალენჯიხის" ისტორიის შესახებ,—სახელდობ: გოგია ვერ ცნობს, თუ როგორ მიმდინარეობს ისტორია ყოველის, საზოგადოთ, სიტყვისა.

თანამედროვე ენათმეცნიერება გვასწავლის: სიტყვის ისტორია, როგორც ყოველივესი ამ ქვეყნათ, **კანონიერათ** (ЗАКОНОМѢРНО) მიმდინარეობს: **კანონიერათ** იცვლება სიტყვის ფიზიკური სხეულის შედგენილება (მისი ფონეტიკა); **კანონიერათ** იცვლება მნიშვნელობა, რომელსაც ის ატარებს (სემასიოლოგია), **კანონიერათ** იცვლება მისი გარეგანი ფორმა (მორფოლოგია). აქედან თავისთავად იბადება დასკვნა: თუ რომელიმე სიტყვის ისტორია მეცნიერულათ, დასაბუთებულათ, ეჭვ მიუკარებელ სიმტკიცით გვინდა გამოვარკვიოთ, ცხადია, ამისთვის უნდა მოვძებნოთ ის **კანონები**, რომელთ ძალითაც იცვლებოდა დროს მსვლელობაში სიტყვა, მისი ფონეტიკა, მისი მნიშვნელობა და ფორმა. ჩვენს კვლევა-ძიებაში გზას ისევ თანამედროვე საერთო ენათმეცნიერება (общее законовѣденіе) გვგვინათებს, რაკი გვამცნებს კიდევ შემდეგ თავის დებულებას: თუმცა კანონიერათ იცვლება როგორც ფონეტიკა, ისე სემასიოლოგიაც და აგრეთვე მორფოლოგიაც, მაგრამ მკვლევარს კი დღესდღეობით **მხოლოდ ფონეტიკური კანონების** ამოჩენა შეუძლია, სემასიოლოგიური და მორფოლოგიური კანონები კი დღემდის ბნელია ჩვენთვის და ამოუჩენელი, ვინაიდან ისინი მეტად რთულნი არიან. მაშასადამე,—გვასწავლის ენათმეცნიერება,—საზოგადო ლინგვისტურ ანალიზს საფუძვლათ ფონეტიკური ანალიზი უნდა დავუდვათ, ე. ი. ფონეტიკური კანონების გამოაშკარავება[1]).

ყველა ეს ძირითადი ცნობა ბ-ნ ილ. გოგიასთვის ცხრაკლიტულის იმიერ რჩება, და ამით აიხსნება მისი შეცთომები, რომელთ აღვნუსხავ.

ფონეტიკურ კანონების და საზოგადოთ—სიტყვის ცვლილებათა კანონიერების შესახებ კრინტიც არ დაუძრავს ბ-ნ გოგიას თვის „ახსნაში". ამიტომ მისი „ახსნაც" ახსნათ ვერ ჩაითვლება, ამ სიტყვის ნამდვილ მნიშვნელობით. ან უნდა იქნეს მითითება რეალურ ფაქტზე, ან კანონზე,—უამისოთ ყოველი მსჯელობა დაუსაბუთებელია. ფაქტი, რასაკვირველია, არსა ჩანს: არა გვაქვს ისტორიული საბუთი იმის შესახებ, რომ მცხოვრებმა თუ მეომრებმა დღესაც დაარქვეს ციხეს „წელის ციხე", ანუ „ჭალა—ციხე" იმიტომ, რომ თავის მდებარეობით თუ აგებულობით ან „ჭალას" ან „წელის" (ან ზურგის) ფუნქციებს მოაგონებდა მათ. არა გვაქვს ასეთი ცნობა და არც შეიძლებოდა გვქონოდა, რადგან განმარტება ძალდატანებულია და ფანტასტიური. ფონეტიკური კანონებიც, როგორც ვსთქვით, სრულიათ არ მოყავს ბ-ნ გოგიას[2]). რაღა დაგვრჩა „ახსნისაგან"? ტიტველი მოსაზრება, ტვინის ვარჯიშობა არა რეალურ ნიადაგზე. ყველაფერი ეს კი მეცნიერებისთვის (ამ სიტყვის ნუ გეშინია!) უმნიშვნელოა. ამიტომ სრულიათ განთავისუფლებული ვარ მოვალეობისაგან განვიხილო უფრო დაწვრილებით თვით გოგიას მიერ წამოყენებული ორნაირი (ძველი და ახალი, ორივე დაუსაბუთებელი) „ახსნა", რომლის ისა თუ ეს ელემენტები თავისთავათ საინტერესონი არიან მხოლოდ ბ-ნ გოგიას,—სამწუხაროდ, ამ შემთხვევაში უსარგებლო—ჭკუამახვილობის და ფანტაზიის სითამამის დასახასიათებლათ (ციხე, რომელიც ჭალას გავს! ციხე, რომელიც წელის ფუნქციებს ასრულებს!). მივუბრუნდები მის „კრიტიკას" ჩემი ახსნისა.

მაგრამ აკი ბ-მა გოგიამ თავიდანვე მომახალა: თქვენი ახსნა არ გახლავსთ,—ასეთივე(?) ახსნა(?) უკვე ვახუშტის აქვსო.. უნდა მოვახსენო შემდეგი: სრულიად არ მაინტერესებს, მე მეკუთვნის, თუ სხვას ეს სულ ადვილი და არც რამე დიდმნიშვნელოვანი იაფეტურ ენათმეცნიერებისათვის საქმე და ფიქრიდაცარ მომსვლია, რომ ახალი „საქმე ვქმენ საკვირველი." მაგრამ რადგანაც საკითხი აღძრით, ინებეთ, თავსაც დავიცავ უსამართლო ბრალდებისაგან და თქვენს კურიოზულ პოზიციასაც გამოვარკვევ ამ საკითხში. კაი დაგემართათ, ვახუშტისაცკი მადარებთ. როგორც შევატყვე, მისი „ლინგვისტურ მეთოდს" უფრო მაღლაც აყენებთ, ვიდრე ჩემსა. სწერთ: „მე ეს აზრი თვით **ვახუშტისაც** შემცთარათ მიმაჩნია" (კურსივი ჩემია).. ე. ი.: არამც თუ ნიკ. ჯორჯიკიასი, არამედ თვით ვახუშტის! . არა, ერთი წარმოიდგინეთ, რა სითამამეა: თვით ვახუშტის „ლინგვისტურ მოსაზრებასაც"-კი უარყოფს ეს ადამიანი! მაშ, ჩემო ბ-ნო, თანამედროვე შედარებით-ლინგვისტურ მეთოდის ფონეტიკურ კანონებს, რომელთაც ვხმარობ ჩემს განმარტებაში, ვუბრძანებთ მოწიწებით დაიხიონ მეფიშვილის აჩრდილის წინაშე,—ასე არა?გამოირკვა, რომ ნებას არ მიცემთ მაგ. მერვე კლასის მოწაფესაც, რომელსაც საშვალება მიეცა კოპერნიკის სისტემას გაცნობოდა, უარყოს ძველი პტოლომეს სისტემა! მაშ ასედაც ითქმის,—რაღა: „არამცთუ თანამედროვე კოსმოგრაფიის სახელმძღვანელოები, არამედ თვით პტოლომეს სისტემაც-კი არ მაკმაყოფილებს". ანუ კიდე: „არმც თუ თანამედროვე ფიზიოლოგიის კურსები, არამედ თვით ჰიპპოკრატის სწავლაც არ მომწონს!" ვაი თუ ჩვენს ძველ კარაბადინებსაც ასევე შეურაცყოფთ და უარყოფთ,—არამცთუ თანამედროვე მედიცინის იმა თუ ამ ცნობებს"! თუ ვახუშტი თქვენთვის ავტორიტეტია ლინგვისტიკაში, ცხადია; კარგათ ყოფილხართ გაცნობილი ამ უკანასკნელთან! და მე კი მაინც თავს ნებას მივცემ და შემდეგს მოგახსენებთ: მეცნიერული ლინგვისტიკა დაიბადა ერთის საუკუნით უფრო გვიან, ვიდრე სახელოვანი ბატონიშვილი, და თქვენი ყურმოჭრილი მონა თავის მხრით-კი ერთის საუკუნით შემდეგ თვით შედარებითი ენათმეცნიერების აღმოჩენისა. მართალია, თქვენი ყურმოჭრილი მონა არაა დაჯილდოებული რაიმე განსაკუთრებული „ნიჭებით," მაგრამ თვის საშვალო ძალებით და ღვთის შეწევნით მაცადინობს ლინგვისტურ სახელმძღვანელოებით, რომელნიც სულ ამ უკანასკნელ წლებში გამოვიდნენ და ახლა დიდის მოწიწებით კიდევაც გამცნებსთ თქვენ, „შესანიშნავ ლინგვისტის" ვახუშტის მათაყვანებელს, იმას, რაც იმ დალოცვილ წიგნებში შეხვდომია და, ღვთის წყალობით, გაუგია.

აწ დაიჯერეთ, ბ-ნო, რომ ვახუშტიმ მხოლოდ მიგვითითა განსაზღვრულ მასალებზე, ხოლო „ახსნა," ამ სიტყვის ნამდვილი მეცნიერული მნიშვნელობით, მას არ შეეძლო, ვინაიდან გაგებაც არ ქონდა ფონეტიკურ კანონებზე. აი, ბ-ნო, გალექსილი ანდაზაც სახელმძღვანელოთ, ადვილი დასამახსოვრებელია: „სად, ვახუშტი, სად ლინგვისტი!" ნიუტონის კანონი „უკვე" შექსპირსაც-კი აქვს თავისებურ სახით ნახსენები, მაგრამ დაუმტკიცებია მხოლოდ ნიუტონს, და „შეკავშირის კანონი" მისთვის არავის უწოდებია. მაგრამ ვინ და ვინ არ გამახსენეთ, თქვე კაი კაცო, ამ წამებული „წალენჯიხის" გულისთვის; შექსპირი, ნიუტონი, პტოლომე, ჰიპპოკრატი, კოპერნიკი!. ხოლო ამ თქვენს შეცთომაზე (ვუწოდო, თუ არა, მას „ახირებული,"—როგორ მირჩევთ?). იმიტომ შევჩერდი ამდენ ხანს, რომ ის სამაგალითოთ ასაბუთებს ჩემს მთავარ დებულებას: ბედნიერული ლინგვისტიკის არაფერი გაგეგებთ. არ გაგეგებათ და თამამათ „კატეგორიული კილოთი"-კი უარყოფთ ახსნას, რომელიც დაფუძნებულია გარკვეულ ფონეტიკურ კანონებზე. იმის წარმოდგენაც-კი არა გაქვთ, რომ მეცნიერებამ, ვახუშტის დროის შემდეგ ზოგიერთი რამ **რეალური ცოდნა-განძი** შეიძინა ენის შესწავლის დარგში.

ახლა, ნება მიბოძეთ, კიდევ ერთხელ დავალაგო ლინგვისტური (კანონიერ-ფონეტიკური!) ახსნა ჩვენი ტერმინისა ოდნავ შევსებულის სახით. ეს გახლავთ ნიმუში **ლინგვისტურ** განმარტებისა.

**„წალენჯიხა".**

„წალენჯიხა"-ს თავისი ისტორია აქვს, იქნებ შედარებით არც ძალიან დიდი ხნისა: ყოველ შემთხვევაში ტერმინი აღმოცენდა არც პრაიაფეტურ, არც პრატუბალკაინურ, არამედ მეგრულ ნიადაგზე, ციხეს, რომლის სახელწოდებასაც თავიდანვე წარმოადგენს იგი, ჩამოურბის მდინარე „ჭანის წყალი". გვებადება აზრი: „წალენჯიხა" **კანონიერათ** „ჟამთა ვითარებით ენის ცვალებადობის მეოხებით მოცვლილი" ფორმა არ იყოს „ჭანიში ჯიხა"-სი (ე. ი. ჭანის ციხის). ამ მოსაზრებას დასაბუთება სჭირია. **ფონეტიკური კანონები** მეგრულ ენისა ამართლებენ ამას.

„*ჭანიში ჯიხა" ——> *ჭანიჯიხა:
კანონი: ნათესაობითი ბრუნვის ნაწილაკის ამოვარდნა რთულ სიტყვაში; საბუთი: ჯიმა(ში) სკუა, და(ში)სკუა და სხვ.

*ჭანიჯიხა ——> *წანიჯიხა;
კანონი: რეგრესიული დისსიმილაცია: ჭ-ჯ ‖ წ-ჯ; საბუთი: *ჭვანჯი ‖ წვანჯი, ხოლო *ჭვანჯი იმიტომ, რომ ქართულად წვანჯ-ს უდრის „წვერი", ქართული წ-კი მოითხოვს მეგრულში ჭ-ს: წაბლი ‖ ჭებმური, წით-ელი ‖ ჭით-ა და სხვ.[1])

*წანიჯიხა——> *წანინჯიხა:
კანონი: „ნ"-ის აღმოცენება „ჯ"-ის წინ; საბუთი: *ჯიხი> ხინჯი, ხოლო *ხინჯი [illegible] იმიტომ, რომ ქართულში [illegible] ხიდი და არ თუ *ხინდი.

*წანინჯიხა ——> *წალინჯიხა:
კანონი: [illegible] მილაცია: [illegible] თი; [illegible] мецъ).

*წალინჯიხა ——> წალენჯიხა:
(მარრის) კანონი: ი > ე; საბუთი: გამორკვეული აკად. მარრის მიერ დიფერენციაცია „განყენებითი" (ОТЛОЖИТЕЛЬНЫЙ) ბრუნვისა ნათესაობითი ბრუნვისაგან:—ში > —შე.

წალენჯიხა[2]).

ასეთია კანონები და საბუთები. მათ თითეულათ ბ-ნი გოგია არ უარყოფს („ჯერ" არ უარყვია),—და მთელს ჩემს ახსნას-კი არ ეთანხმება. ბოლოს ბოლოს ვერ გავიგია: რა საფუძვლით?!.

ნ. ჯორჯიკია.

P. S. „განათლების" ამავ ნომერში (მე-VII-ე) სადაც „წალენჯიხის" განმარტება დაიბეჭდა, მეორე პატარა წერილია მითავსებული ჩვენი,—თემაზე: „კავკასიური" ენები და იაფეტური ენათმეცნიერება. წერილის დედა-აზრი: „კავკასიურ" (მთიულ ენებში მრავლათ უნდა მოიპოვებოდენ იაფეტური ელემენტები. ამ აზრის დამადასტურებელ ცნობებს შევხვდი ამას წინად პროფ. მარრის შრომაში: Изъ поѣздокъ въ Сванію (1913). ვსარგებლობ შემთხვევით, რომ აქ შევავსო ახლა კიდევ ორიოდე შენიშნით ჩემი გაკვრით გამოთქმული აზრა. აკად. მარრს უკვე მიუქცევია ყურადღება თუშურ ენაზე (ქისტურ-თუშურ ენის შესახებ არის ლაპარაკი) და, როგორც ეტყობა, კიდეც განუხილავს ბლომათ მისი მასალები, რომლებშიდაც მან პოვა,—როგორც თვით ამბობს,—„ნამეტნავათ საინტერესო იაფეტური ნაშთი" (перелсиванія). რამდენიმე იაფეტური სიტყვა კიდეც მოყავს პროფესორს თუშურიდან. ერთ საინტერესო ფაქტს მეც წავაწყდი ბარ. უსლარის წიგნში: თუშები („ქისტური" თუშები) თავიანთ თავს ეძახიან: ბაც-ბი[1])... ამ სახელწოდებაში გვემატება, მგონი, უმწვერვალეს ჩრდილოეთით, ახალი ვარიანტი მარის-მიერ გამორკვეული შესანიშნავ ძირისა: „მას"—„ბას" და სხვ., რომლის შესახებ არა ერთხელ შეგვხვდომია ლაპარაკი. ასეთ ახსნას ხელს უწყობს ერთი უაღრესი მნიშვნელობის გარემოებაც: თუშურ ენის იაფეტური ელემენტები, როგორც არკვევს მარი, იძლევიან ფორმებს სწორეთ ენათა „მას"-ის ჯგუფისა („языковъ „мас"-ской группы яфетической вѣтви"). ნ. ჯ.

კიევი, 15 დეკემბერი.

1) იხ. **ფონეტიკურ კანონიერების შესახებ უფრო ვრცლად წერილები „იმერეთ"—„კოლხიდაში" (1913 წ), სათაურით: „ფონეტიკური ეტიუდები", და კიდევ უფრო სავსედ რუსული კურსები ბოდუენ-დე-კურტენესი, ბოგოროდიცკის, ტომსონის, პორჟეზინსკის და სხვათა.**

2) **მართალია, გვხვდება მაგ. ასეთი დებულება: „დ"—„ნ"-ად შეიცვალა. მაგრამ უბრალოთ დავკარგავთ დროს, თუ დაგიწყებთ ბ-ნ გოგიას წერილში ძებნას თუნდ ერთის საბუთისა, რომ ასეთი შეცვლა კანონიერია. რაღა თქმა უნდა, ბ-ნ გოგიას აღარავინ მოსთხოვს უფრო რთულ და ძნელ საქმეს: მითითებას იმ ზონებზე, რომლებშიდაც ხდება აღნიშნული შეცვლა. მაშასადამე ისევ განუყენებითი დებულება და არ საბუთი! უსაბუთო დებულება კი კანონათ რამ აქცია? ან იქნებ აქსიომა იყოს იგი?!**

1) დაწვრილებით საბილანტების ასიმილაცია დისიმილაციის შესახებ მეგრულ-ჭანურ (აგრეთვე—ქართულ) ენებში, იხ. „იმერეთის" ამა წლის მაისის ნომრები (№№ 62, 65, 69).

1) Бар. Усларъ, Челенскій языкъ, 1888, стр. 2.

2) **ამგვარათ აქ საბოლოოთ დავადგენ ვარიანტს: წალენჯიხა <——ჭანიში ჯიხა, რომელზედაც წინათაც მივუთითე,—და უარვყოფ მეორე ვარიანტს: წალენჯიხა <—— ჭალეში ჯიხა, თუმცა ზოგიერთის მსგავსებით ეს ვარიანტი უფრო მართლად ეჩვენება მსმენელს. ქრონოლოგიური მიმდევრობა ფონეტიკურ მოვლენათა აღნიშნულ ისტორიაში, შესაძლებელია, სხვა ყოფილიყო,—ეს მეორე ხარისხოვანი საკითხია ამ ჟამათ ჩვენთვის. მაგ., შესაძლებელია ასეთი ისტორია: ჭანიში ჯიხა—*ჭანინჯიხა—*ჭალინჯიხა—*ჭალენჯიხა—წალენჯიხა.**

---

სად სჩანს. ამიტომაც იყო, რომ დიდიხანი არ გასულა რეფორმის შემოღების შემდეგ, რომ ჩვენში სხვადასხვა დაწესებულებანი, კრებები, სხვადასხვა დროს შუამდგომლობებს არდგენდენ, სადაც ჯერ არს, ან თანაბარი რეზოლიუციები გამოჰქონდათ ამ რეფორმის ჩვენ მხარეზე გავრცელების შესახებ. უკანასკნელათ თითქოს სერიოზულათაც მოჰკიდეს ხელი თვით მთავრობის წარმომადგენლებმა, ისიც, რა თქმა უნდა, განმათავისუფლებელ მოძრაობის გავლენის ქვეშ, ახლანდელმა ხელმწიფის მოადგილემ მოსვლისათანავე 1904 წლის ერობის შემოღება ყველა განზრახულ რეფორმათა სათავეში დააყენა. გაიმართა თათბირი ხალხის წარმომადგენელთა ერთათ სამაზრო და საგუბერნიო კრებებზე იმ საკითხის გამოსარკვევათ თუ როგორი ერობაა ჩვენთვის საჭირო. ოთხი, წლის შემდეგ კვლავ შეუდგენ ამისთანავე მუშაობას, დაარსეს საგუბერნიო, საქალაქო კომისიები, ახლა უფრო ვიწრო უფლებებით და წმიდა ბიუროკრატიულ შემადგენლობით, თუ ორიოდე ინტელიგენტს სათვალავში არ მივიღებთ დრო და ჯაფა ამ სათათბიროებსა და კომისიებში ბევრი დაიკარგა, ხოლო რეალური შედეგი არც ერთსა და არც მეორეს ჩვენთვის არავითარი არ მოუტანია. დღესაც იქვე ვართ, სადაც ვიყავით ამ ოცოცდაათი წლის წინათ. ვიტყვით მეტსაც—გამძვინვარებულმა რეაქციამ თითქო იმის იმედიც კი ჩაგვიკლა, რომ ამ ახლო მომავალში მაინც გვეღირსება ეს ერთი უსაჭიროეს დაწესებულებათაგანი.

ასე თუ ისე სახტათ დარჩენილი დღეს შურის თვალით გულნაკლულნი შევცქერით იმ მდგომარეობასაც კი, რომელშიც ერობის მქონე გუბერნიები იმყოფებიან, ვინაიდგან, ჩვენის ფიქრით, გლახა ერობა კი კარგ ბიუროკრატიულ მართვას მაინც სჯობია. სხვა არა იყოს რა, ერობა ხომ ის შკოლაა, რომელიც წვრთნის, ამზადებს ხალხს პოლიტიკურ თვით მოქმედებისათვის, საკანონმდებლო მოღვაწეობისათვის! ერობა და ქალაქი ანუ კომმუნა ხომ პირველი საფეხურია, შთანასახია წარმომადგენლობითი წყობილებისა!

ამიტომაც, სხვათ შორის, ჩვენი ერთი უპირველეს მოქალაქობრივ მოვალეობათაგანია არ დავცხრეთ იმ დრომდი, ვიდრე ეს უსამართლობა არ აგვშორდება. ყოველი წუთით, ყოველი შემთხვევით უნდა ვისარგებლოთ, რომ ჩვენი ჭირ-ვარამი, ჩვენი უილაჯობა სხვას ვამცნოთ. საჭიროა პრესაში, საზოგადოებაში, ცალკე საზოგადოებრივ ჯგუფებში, შინ გარეთ, სახელმწიფო სათათბიროში, ერთი სიტყვით, ყველგან ყოველ მარჯვე დროს ავხმაურდეთ, რათა მოვიახლოვოთ ჟამი, როდეს ჩვენ ქვეყანასაც ეღირსება ის სიკეთე, რომელთაც აგერ ორმოცდაათი წელია ავად თუ კარგად სარგებლობს რუსის ხალხი. აი, თვით დღევანდელი მომენტი—ეს დიდი დღესასწაული ერთი ამ მარჯვე შემთხვევათაგანია როდესაც ჩვენი გულის ტკივილი, ჩვენი ხმა, ჩვენი ამბავი შეგვიძლია შორს და ახლოს მოვფინოთ.

სადღესასწაულო კი დღეს არაფერი გვაქვს. დღესაწაული ჩვენთვის მხოლოდ მწარე ფიქრების მომგვრელია, ძველი წყლულების გამხსენებელი. ამ დღეს სიხარულით ვეგებებით მხოლოდ იმდენათ, რამდენათ სხვისი ბედნიერება და სიკეთე ყოველი შეგნებული ადამიანისათვის სადღესასწაულო და სასიხარულო უნდა იყოს. სულით და გულით ვუსურვებთ გრძელ დღესა, ყოველნაირ წარმატებას, მეტ თავისუფლებას იმ საზოგადოებრივ დაწესებულებას, რომელსაც, ვინ იცის, რამდენი რამ არ გადახდა ამ ნახევარ საუკუნის განმავლობაში უკეთეს მომავალის მოსაპოვებლათ წარმოებულ ბრძოლაში!

გრ. გველესიანი.

## უცხოეთი

**დაპატიმრება.** პეკინში 30 დეკემბერს დააპატიმრეს ყველა ის დეპუტატი, რომელთაც პარლამენტის დათხოვის გამო საპროტესტო მოწოდებას ხელი მოაწერეს დეპუტატები მოუწოდებდენ ხალხს ხალხის წარმომადგენლების მიერ შემუშავებული კონსტიტუციის დაცვას. სულ დააპატიმრეს ოცი დეპუტატი ბევრმა დეპუტატმა უცხოეთში გაქცევით უშველა თავს. დააპატიმრეს აგრეთვე კონსტიტუციონალისტების და რესპუბლიკანელების კომიტეტები. პეკინის ქუჩებში პოლიციელთა რიცხვი გაამლიერეს.

**ობსტრუქცია.** ჩეხელმა ოპოზიციონურმა პარტიებმა გადასწყვიტეს ფონშტურკის კაბინეტის წინაამდეგ წასვლა. ამ მიზნით ისინი საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე ობსტრუქციას ახდენენ. სხდომა ერთი საათით შეწყვიტეს და დეპუტატები გარეთ გავიდენ, მაგრამ როდესაც შემოვიდენ, ნახეს, რომ დასაჯდომი სამოც ჩეხელ დეპუტატს დაეჭირა. დარბაზში ხმაურობა ასტყდა, რის გამოც სხდომა შეწყვიტეს,

სამკაზრო სახლი
ი. გოკიელის ამ—ბის
ქუთაისში.

მიღებულია და იყიდება მლიერ ზომიერ ფასებში **სადარბაზო ბარათები** საუკეთესო ხარისხის (Визитныя карточки изъ загран. бристоли). რუსული კალენდრები. საუკეთესო გამოცემა ოტტო კიხნერის და სიტინის ამხანაგობისა. ქართული კედლის და ჯიბის კალენდრები. ტყავის პორტფელები. (Портфели адвокатскія, документныя и вексельныя).
ჯალათები ქაღალდის ჩასაყრელი.
27-ნ 31 დეკემ. გაიყიდება წვრილათ ჯუველნაირი კონფეტები დაკლებულ ფასებში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის ქ. ქუთაისში.
# ფ. ს. ფილიპოვისა.
ალექსანდრეს ქუჩაზე,
მიიღება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ჯუველნაირი ხაოჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმელები (ფეჩები), სამხარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი“, სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მჭირვალი საოჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

**ლანდტაგში.** ელზასის ლანდტაგში ცაბერნის ამბებზე მსჯელობა სამს დღეს გაგძელდა. ლანდტაგი ამ საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილებით ძალიან აშფოთებულიყო. ერთმა ორატორმა სთქვა: პოლკოვნიკი რეიტერის გამართლების დღე ელზასისთვის უბედურ დღეს წარმოადგენს. ამ დღეს სტრასბურგში შეილახა მორალი და სამართლიანობა. რეიხსტაგი დიდი ყურადღებით ეკიდება ლანდტაგის ამ საქმეზე მუშაობას. თავისუფალმა მოაზრეებმა და სოც.-დემოკრატებმა ელზასის კონსტიტუციის ხელუხლებლობის შესახებ შეკითხვაც კი შეიტანეს.

**დმოვსკი კრაკოვში.** სტუდენტებმა გაიგეს თუ არა, რომ დმოვსკი უნივერსიტეტში ლექციის წაკითხვას აპირებოდა, გადასწყვიტეს დმოვსკის საწინააღმდეგო დემონსტრაციის გამართვა. არეულობის თავიდან ასაცილებლათ შკოლის დირექციამ დმოვსკის ლექცია სხვა დროისთვის გადასდვა დმოვსკით უკმაყოფილო არიან იმის გამო, რომ ის უგადოვის პოლიტიკას აწარმოებს.

## თეატრი და ხელოვნება.

**ქართული წარმოდგენა ადესაში.**

ამ უკანასკნელ დროს ქართულ პრესაში კიჯვა გაისმის ადესელ სტუდენტებისა. მიკერძოებით ლაპარაკს რო გვერდი ავუაროთ, თამამათ ითქმის—ადესელი სტუდენტების უმეტესობა სწორე გზაზე სდგას და საზოგადო საქმეში მხურვალეს თუ არა, ახლო მონაწილეობას იღებს.

1913 წლის აპრილიდან აქ ქართული წარმოდგენების მართველი წრე დაარსდა. ადესაში ცხოვრობს 30-მდი ქართველთა ოჯახი და ნავთ სადგურში მუშაობს 200-მეტი ქართველი მუშა. მოსწავლეთა საერთო რიცხვიც 200-მდი არის. უმეტესობა მოკლებულია ქართულ წარმოდგენას.

პირველი წარმოდგენა მაისში გაიმართა: დ. კლდიაშვილის „ირინეს ბედნიერება“, შესაფერი რეფერატით დ. კლდიაშვილის შემოქმედების შესახებ, სტუდ. გრ. ამაღლობელის მიერ წაკითხული.. გასული შემოდგომიდან უკვე ყოველი თვე იმართება წარმოდგენები. ოქტომბერში: ავ. ცაგარლის: „ბაიყუში“ და აკაკის „ბუტაობა“, ნოემბერში: ი. გედევანიშვილის: „გამცემი“; და „ორი მშიერი“; დეკემბერში: ვ. გუნიას: ხორველობა და დ. კლდიაშვილის: დარისპანის გასაჭირი. და მეორე წარმოდგენა ამ თვეში: 30-დეკემბერს: ვ გუნიას: „დაძმა“. განძრახულია 14 იანვარს ნინოობის საღამოს გამართვა, თებერვალში, გარდა სატრადიციო ქართულ საღამოსი, ა. ყაზბეგის საღამო გაიმართება.

წარმოდგენებს ესწრება თითქმის მთელი ადესელი ქართველობა. ადგილობრივ ქართველ მოვაჭრეთ ბ-ნ. პავ. ბახტაძის თაოსნობით გადასწყვიტეს თითომ თვიურათ 5 მ. დახმარება აღმოუჩინოს წარმოდგენების მართველ წრეს.

„და-ძმის“ წარმოდგენა ადესაში ძნელია. მაინც სიძნელე სძლიეს და სტუდ. ეფ. ზაქარაიას რეჟისორობით პიესა რიგიანათ წარმოადგინეს. კარგათ ითამაშეს ეფ. ზაქარაიამ—გაიოზი და აგრ. ბახტაძისამ—მარინე. ზედგამოჭრილი იყო გერას. კუპრაშვილი—ფაშის როლში. ნამდვილი არტისტია შაქრო იშხნელი, მოაგვაგონა თავის ძმა გიორგი, მისი ხმა, მშვენიერი კილო და მიხვრა-მოხვრა. ადამიას როლში მეტად კარგი იყო. ლექსო კვალიაშვილი და ნატ. ვაჩეიშვილის ქალი კარგათ თამაშობდენ და ანსამბლს ხელს უწყობდენ..

**კარმელი.**

## დაბა-სოფლები.

**დ. ლანჩხუთი** (გურია.) როგორც ამას წინათ ვსწერდით დრამატიული გამგეობა ენერგიულათ მოეკიდე საქმის მოწესრიგებას. შეკრიბეს სცენის მოყვარეთა წრე, დარჩეული პირებისაგან შემდგარი, კრების მიერ შემოწმებულ-შეფასებული, და იმედია დღემდი გულ აცრუებული საზოგადოება მიაქცევს ამას ყურადღებას. რადგან საკუთარი შენობის აშენებას კარგა ბანი სჭირდება, დაიქირავეს პ. კილაძის ქვის შენობა, რომელიც შესამჩნევათ გააფართოვეს და გაამშვენიერეს.

გამგეობა ძლიერ მონდომებული იყო ამ უქმეებზე გაემართა წარმოდგენა დარწმუნებული იმაში რომ, წარმოდგენას აუარებული ხალხი დაესწრებოდა, მაგრამ საუბედუროთ აქაც იჩინა თავი ჩვეულებრივმა ინტრიგამ.. და წარმოდგენა არ შესდგა.

**სკოკი.**

**ს. გვიმრა.** (ქვემო იმერეთი) სოფელი გორდის მკვიდრი ღვდელი ივანე დავითის ძე ჩიხლაძე, რომელიც სამსახურისა გამო დასხლებული იყო ს, გვიმრას, წყალტუბოს საზოგადოებაში, ემსახურა პატიოსნათ ხსენებულ სოფელს 35 წლის განმავლობაში; მამა იონნე გადაიცვალა ნოემბრის შვარიცხვებში, რომლის განსვენების დღეს დაესწრო დიდძალი ხალხი ახლო მახლო სოლებიდან „ჩვეულებრივი“ შესანდობელი მიიღეს. სადილის შემდეგ ზოგნი მათგანი განსვენების ჟამს მიცვალებულისა ბახუსის გავლენის ქვეშ იმყოფებოდენ და მიცვალებულს არა ჯეროვნათ პატივის ცემდენ: მიმავალ პროცესიდან, რომელიც მიასვენებდა ცხედარს განსვენებული. ღვდლის კუბო ხელიდან უვარდებოდათ, ამ შემთხვევამ ცუდი გავლენა იქონია ყველა დამსწრე პირებზე. როგორც შემდეგ გავიგე, „ალკოგოლიური“ სენით გაქლენთილი ყოფილა წყალტუბოს და გვაშტარის საზოგადოების მდაბიო ხალხი, მიუხედავათ იმ ღირსებისა, რომ ფიზიკურათ მშრომელნი ყოფილან. სწავლა განათლების და კულტურული დაწესებულების საქმეები ხსენებულ საზოგადოებებში მიდის კუს ნაბიჯით, გარდა სოფლები წყალტუბოსა და ახალი ბედისეულისა.

**„გორდელი-მეგრელი“**

**სოფ. შროშა.** (ზემო იმერეთი) კვირას, 29 დეკემბერს ბასილა შველიძის სახლში მოხდა ყაჩაღებთან შეტაკება. საქმე ასე იყო:—ყაჩაღებმა მოსთხოვეს ბასილა შველიძეს ასი თუმანი. დანიშნულ დროსათვის მან რის ვაი-ვაგლახით დაამზადა ზემოხსენებული ფული. შაბათ ღამეს მასთან მოვიდა ბოქაული ჯარის კაცებით და მოსთხოვა ბინა დასადგომათ. მანაც დაუთმო ძველი სახლი. კვირას ძლიონზე, როდესაც ბასილა შეშის საჩხათ გავიდა გარეთ, მოვიდა მასთან ორი უცნობი, პალტოებში გამოხვეული. ბასილას შეეკითხენ მზათ არის იგი თუ არა და შემდეგ წაყვენ ახალ სახლში. ამ დროს ძველი სახლიდან გამოიხედა მცველმა. მას თვალი მოკრა ერთმა ყაჩაღმა და რევოლვერით დასჭრა ფეხებში. შემდეგ გამოსცვივდენ მცველები და ასტეხეს სროლა. ერთი ორთაგანი მოკლეს და მეორე კი, კისერში დაჭრილი გაიქცა. მხოლოთ დარჩათ მისგან პალტო რადგან ჭრილობის გამო ველარ ზიდა. პალტოში აღმოჩდა ფულები, წიგნაკი, სადაც მოთავსებულია სია: თუ ვის რამდენი შეაწერეს და რამდენი აქვთ ასაღები, ამათ გარდა სროლის დროს მცველებს ხელში შემოაკვდათ სულ ალალ-მართალი კაცი. ეს იყო ერმინე შველიძის უფროსი ვაჟი.

იგი თავის დუქანში მიდიოდა. რადგან შორს არის დუქანი მის სახლზე, ამიტომ მას ქამარში ქონდა ჩვრით გამოკრული სადილი სროლის დროს ბასილა შველიძის სახლთან მოუხდა გავლა. იგი წამსვე დაწვა, რომ თავი ეხსნა სიკვდილისაგან, მაგრამ მცველმა ესროლა თოფი და მოკლა; მიცვალებული ნახევარი ტანით ახლაც ღელეში გდია. ის უფროსი ვაჟია იმ ერმინესი, რომელმაც რამოენიმე დღის წინათ ასი თუმანი გადაუხადა ყაჩაღებს მცველები თავს იმართლებენ. თითქო ისიც იარაღით წინააღმდეგობას უწევდა მათ.

## ღია ბარათი.

ბ. გალაკტიონ კვირიკაძის მედიატორებს!

გთხოვთ გვაცნობოთ რა დღეს და სად შევიყაროთ თავი ირაკლი ბიბილეიშვილისა და გალაკტიონ კვირიკაძის შორის ატეხილ და ვის გასარჩევათ და თავჯდომარის ასარჩევად.

ირაკლი ბიბილეიშვილის მხრით დასახელებული მედიატორები:

კონსტანტინე ლორთქიფანიძე
ბენედიკტე თევდორაძე.

რედაკტორ-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

თებერვლის უკანასკნელ რიცხვებში ადესელ სტუდენტთა ინციატივით გამოვა ქართულ ენაზე სამეცნიერო- სალიტერატურო- კრებული
## „ცხოვრება და მეცნიერება,“
რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სტუდენტების გარდა ადგილობრივ უნივერსიტეტში მომუშავე სამეცნიერო ძალები. სუფთა შემოსავალი ამ კრებულიდან გადაიდება ადესის ქართულ საზოგადოების „საქართველოს“-ს სასარგებლოთ.
**შ ი ნ ა ა რ ს ი.**
პრ.—დოც: ს. ავალიანი. დროებით გადადებულ გდეხთა საკითხი. ორდინატორი ნერვულ კლინიკისა ექიმი ს. ყიფშიძე: საუბარი ტვინის ფუნქციებზე. პროზექტორი ანატომიურ თეატრისა ექიმი ნ. კახიანი: ნორმალურ ანატომიის შესავალი (უჯრედი და ქსოვილი). ორდინატორი ვენერიულ კათედრაზე ექიმი მ. ცეცხლაძე: ადამიანის სქესობრივი ცხოვრება. სტუდენტი პ. ქავთარაძე: ანაბიოზი სტ. ქ. რაჭველიშვილი. საუბარი ხელოვნების შესახებ. სტ. ს. ასლანიშვილი. სამცხე-საათაბაგოს სიძველენი. სტ. გ. კარბელაშვილი. ახალგაზდები (მოთხ. სტუდ. ცხოვ.) სტ. დ. ჟღენტი. ბავშის აღზდა. სტ. გ. ურუშაძე. რადის მნიშვნელობა მედიცინაში.
ხელის მოწერა მიიღება ქუთაისში კ. ოცხელის და ამხ. წიგნის მაღაზიაში ალექსანდრეს ქუჩა. ზ. კოკოჩაშვილის სახლი. ხელის მოწერით წიგნი ეღირება ერთი მანეთი, შემდეგ 1 მ. 10 შ.

## ძმათა ყორყოლაძეების მაღაზიაში
მიხეილის ქუჩაზე ამ დღესასწაულებისთვის მიღებულია საუკეთესო ღირსების
## თ ე თ რ ი თ ა ფ ლ ი
ალექსანდროპოლის „ალპიის ფლორის“. აქვე გვაქვს ყოველი გვარი საბაკალეო სიქონელი ფასები ზომიერია.

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი
## „ს ა ხ ა ლ ხ ო გ ა ზ ე თ ი“
(წელიწადი მეხუთე)
1914 წ. გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდი გამოდიოდა კვირაობით სურათებიანი დამატება
1914 წლ. ხელის მომწერნი, ვინც მთელი წლის საფასურს გადაიხდიან მიიღებენ პრემიათ: პირველი წიგნი: ქართველი მწერლები: 1 „უგვირგვინო მეფე“ ისტორ. დრამა 5 მოქ. ალექ. შანშიაშვილისა. 2. „მიმქრალი შარავანდი“ ისტ. რომ ვ. ბარნოვისა მეორე წიგნი: უცხოეთის მწერლები: „დონ კარლოსი“—ტრაგ. შილერისა, თარგმ. გერმან. ალ. შანშიაშვილისა. და სხვ. ნაწარმოები უცხოეთის მწერლებისა მესამე წიგნი „სამეცნიერო კრებული.“ ორიგინალური და ნათარგმნი წერილები.
**გ ა ზ ე თ ი ს ფ ა ს ი**
თფილისში და მის გარეთ.

| 12 თ. | 11 თ. | 10 თ. | 9 თ. | 8 თ. | 7 თ. | 6 თ. | 5 თ. | 4 თ. | 3 თ. | 2 თ. | 1 თ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8მ.10შ. | 8 მ.—„ | 7მ.10შ. | 6მ.15შ. | 6 მ.—„ | 5მ. 5შ. | 4მ.10შ. | 3მ.15შ. | 3 მ.—„ | 2მ. 5შ. | 1მ.10შ. | —15შ. |
| საზღვარ გარეთ. | | | | | | | | | | | |
| 15მ.—„ | 13მ15შ | 12მ.10შ | 11მ.5შ | 10მ.—„ | 8მ15შ | 7მ.10შ. | 6მ. 5შ. | 5 მ.—„ | 3მ.15შ. | 2მ.10შ. | 1მ. 5შ. |

ცალკე ნომერი ვველგან შაურათ; დამატებიანი შვიდი კაპეკათ.

## გ. გორდაძისა და ს. წერეთლის
ერთადერთი წარმომადგენელი ქუთაისის გუბერნიაში, ბათომისა და სოხუმის ოლქში უმაღლესი სასახლის გოფმეისტერის, იური სტეფანეს ძის ნეჩაევ-მალცევის ბემსკის მინების ქარხნისა, მიაქციეთ განსაკუთრებული ყურადღება მინის ყუთზე ნიშანს „БЕМСКОЕ“
**რკინეულობის მაღაზიაში იყიდება:**
საუკეთესო
ქარხნებისგან
**მიღებული რკინეული**
საქონელი: კარის, ფანჯრის
და ღუმელის მოწყობილობანი;
სადურგლო ხელსაწყობი, ფანჯრის
მინები, რკინის ნიჩბები, ლურსმანი, მავთული, ყოველგვარი საღებავი წამალი,
ელექტრონის ზარის მოწყობილობა, შპალიერი,
ცემენტი, ემალიანი ჭურჭელი, ასფალტი და სხ.
**ვაჭრობა პარტიით და წვრილათ ხელმისაწვდომ ფასათ.**
ქ. ქუთაისში, საკუთარ შენობაში, მიხეილის ქუჩაზე № 65

სპეციალური წიგნის მაღაზია
## კ. ოცხელისა და ამხ.
**ქუთაისში.**
იყიდება ყოველ გვარი სახელმძღვანელო და საკითხავი წიგნი, გეოგრაფიული კარტები, სურათები თვალ საჩინო სწავლის ათვის, მწერლების სურათები, მოძრავი ანბანი და სხვა.
პროვინციის წიგნის მაღაზიებს, მასწავლებლებს და ბიბლიოთეკებს ეძლევათ დიდი საღავათი.

სპეციალური საკანცელარიო მაღაზია
## დ. ოცხელისა
**ქუთაისში.**
იყიდება ყოველ გვარი საკანცელარიო და სასწავლო ნივთი ახლათ მიღებულია არითმეტიკული „ჩოთქები“ და ყუთები, საღებავები, საუკეთესო რვეულები, ყოველგვარი ქაღალდი, კალენდრები, პორტფელები, კანტორის წიგნები. და მრავალი სხვა.
ფასები მეტად ზომიერია.

## რ კ ი ნ ი ს გ ზ ა.

**ქ უ თ ა ი ს ი დ ა ნ მ ი დ ი ს**

**თფილისს:** სახალხო დილის 10 საათ. 6 წ.
ფოშტის დილის 11 საათ. 55 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.
**ათომს:** სახალხო დილის 5 საათ. 10 წ.
სახალხო ღამით 11 საათ. 27 წ.
ფოშტის საღამოს 5 საათ. 21 წ.
**ფოთს:** საჩქაროკო დღის 4 საათ. 22 წ.
სახალხო ღამით 5 საათ. 10 წ.
ფოშტის დღით 5 საათ. 21 წ.
**შორაპანს:** საჩქაროკო დღით 4 საათ. 57 წ.
**ტყიბულს:** სახალხო დილის 7 საათ. 50 წ.

**ქ უ თ ა ი ს ს მ ო დ ი ს.**

**თფილისიდან:** სახალ. დილ. 7 საათ. —
ფოშტის საღამ. 6 საათ. 55 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 28 წ.
**ბათომიდან:** საფ.-სახ. დილ. 11 საათ. 14 წ.
სახალხო ღამ. 1 საათ. 27 წ.
**ფოთიდან:** საჩქარ. დილ. 10 საათ. 3 წ.
სახალხო დღით 1 საათ. 20 წ.
სახალ. ღამით 1 საათ. 26 წ.
**შორაპნიდან:** საჩქარ. დილის 9 საათ. 31 წ.
**ტყიბულიდან:** საღამოს — 5 საათ. 11 წ.

**ბ ი ლ ე თ ი ს ფ ა ს ი:**

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| თფილისამდი — — | 4 | 31 | 2 | 87 |
| ბათომამდი — — | 3 | 5 | 2 | 3 |
| ფოთამდი — — — | 2 | 21 | 1 | 47 |
| ჭიათურამდი — — | 1 | 76 | 1 | 17 |

| | П კლ. მან. | П კლ. კაპ. | Ш კლ. მან. | Ш კლ. კაპ. |
|---|---|---|---|---|
| ბაქომდი — — — | 10 | 81 | 7 | 20 |
| მოსკოვამდი — — | 27 | 90 | 18 | 65 |
| პეტერბურგამდი — | 33 | 31 | 22 | 20 |
| ვარშავამდი — — | 31 | 50 | 21 | 5 |

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვისა ქუთაისში.